N391 2015 წლის 31 ივლისი ქ. თბილისი

„საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის საკოორდინაციო კომიტეტის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 ივლისის №184 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის საკოორდინაციო კომიტეტის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 ივლისის №184 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/07/2013, 480570000.10.003.017351) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის „დაბალემისიებიანი განვითარების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ მოწონებისა და სპეციალური უფლებამოსილებების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 11 დეკემბრის №1991 განკარგულებისა და ამერიკის

შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის დაბალემისიებიანი განვითარების სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის (ხელმოწერილი 2012 წლის 17 დეკემბერს) საფუძველზე, შეიქმნას საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის საკოორდინაციო კომიტეტი (შემდგომში – კომიტეტი) შემდეგი შემადგენლობით:

გიგლა აგულაშვილი - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი, კომიტეტის თავმჯდომარე;

თეიმურაზ მურღულია - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი თაბუაშვილი - საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე;

თამაზ მარსაგიშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;

ირმა ქავთარაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;

მარიამ ვალიშვილი - საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე;

ნოდარ კერესელიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;

ვახტანგ ბურკიაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მინისტრის აპარატის (დეპარტამენტის) მინისტრის მრჩეველი;

მაია გუნცაძე - სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;

სტეფენ ჰეიკენი – აშშ - ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისიის ხელმძღვანელი;

კაროლ უილსონი – აშშ - ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ეკონომიკური განვითარების ოფისის დირექტორი.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**